აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომიტეტი

თემატური მოკვლევა

ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა

ანგარიში
2022
მარტი-ნოემბერი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

თემატური მოკვლევა და შესაბამისი ანგარიში მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტები და იგი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მოსაზრებებს.

თემატური მოკვლევის ანგარიში

სარჩევი

1. შესავალი 4

2. თემატური მოკვლევის შესახებ 4

2.1. საკითხის მიმოხილვა 4

2.2. მოკვლევის მიზანი 5

2.3. თემატური მოკვლევის ჯგუფი 5

2.4. თემატურ მოკვლევაში ჩართული სუბიექტები 6

2.5. მოკვლევის მეთოდოლოგია 6

2.6. განხორციელებული ღონისძიებები 7

2.7. მოკვლევის კითხვები 8

3. არსებული მდგომარეობის ანალიზი - დასაბუთებული მოსაზრებების და მოსმენების მიმოხილვა 9

1. სასკოლო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 9

2. წიგნადი ფონდი და მისი შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებისადმი 9

3. ელექტრონულ წიგნებთან წვდომის შესაძლებლობა 10

4. დასაქმებულ ბიბლიოთეკართა კვალიფიკაცია 10

5. სასკოლო ბიბლიოთეკებით სარგებლობა და მათზე მოთხოვნა 11

6. ბიბლიოთეკების მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში 11

7. ბიბლიოთეკების სახელმწიფო და მუნიციპალური მხარდაჭერა 11

8. ახალი სტანდარტების დანერგვა და განვითარების პერსპექტივები 12

4. მოკვლევის პროცესში გამოვლენილი მიგნებები 14

5. რეკომენდაციები 15

დანართი 1 – თემატური მოკვლევის შესახებ 17

დანართი 2 - თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები 18

1. შესავალი

თემატური მოკვლევის ანგარიში - ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის ინიციატივას წარმოადგენს.

მოკვლევის ანგარიშში მიმოხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები და სასკოლო ბიბლიოთეკარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. გამოვლენილია პრობლემები და განსაზღვრულია მოკვლევის პროცესში წარმოჩენილი მიგნებები.

შემუშავებულია სფეროს გაუმჯობესებისათვის საჭირო რეკომენდაციები.

2. თემატური მოკვლევის შესახებ

2.1. საკითხის მიმოხილვა

ბიბლიოთეკების როლი სკოლის მისიის, მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებაში მეტად მნიშვნელოვანია, ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს საჭირო და დამატებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და წამყვანი როლი უნდა დაიკავოს მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების კუთხით, განავითაროს სხვადასხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე მუშაობის უნარ-ჩვევები, შეასწავლოს ინფორმაციის მრავალრიცხოვანი ნაკადიდან აუცილებელი მასალის გამოყოფის ხერხები და მეთოდები და, რაც მთავარია, მოსწავლეს შეაყვაროს წიგნი, კითხვა. ბიბლიოთეკამ უნდა შესძლოს და გახდეს სწავლების, აღზრდისა და მთლიანი სასწავლო პროცესის ორგანული ნაწილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად, საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებს, განვითარების კუთხით, სხვადასხვა სახის უამრავი პრობლემა აქვთ. მზარდი ტექნოლოგიების ფონზე, საჯარო სკოლებში არსებული ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით, ელექტრონულ წიგნებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი გააქტიურება სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობის კუთხით, ახალი სტანდარტების დანერგვა და მეტი ხელშეწყობა, როგორც მუნიციპალიტეტების მხრიდან, ისევე განვითარების პერსპექტივისკენ მიმართული პროექტების დაფინანსებით - მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს. ამგვარად, წერილობით და ზეპირი მოსმენებისას მიღებულმა ინფორმაციამ გვიჩვენა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული პრობლემები არა მხოლოდ პროცედურული და ტექნიკური ხასიათისაა, არამედ ხარისხობრივისა და თვისობრივისაც.

2.2. მოკვლევის მიზანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის მიერ თემატური მოკვლევისთვის დასახული იყო შემდეგი მიზნები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა

მიღებული ინფორმაციის ანალიზი, პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა

დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება

რეკომენდაციების გაცემა შესაბამისი უწყებებისთვის არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით

დაინტერესებულ მოზარდებზე მორგებული, კონკრეტული ქმედითი პოლიტიკის შემუშავება გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივით

2.3. თემატური მოკვლევის ჯგუფი

მოკვლევა აწარმოა უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის წევრებმა, კერძოდ:

- **დავით ბაციკაძე** - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, მთავარი მომხსენებელი;
- **ირაკლი ჩავლეიშვილი** - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
- **დავით თედორაძე** - კომიტეტის წევრი;
- **ნადიმ ვარშანიძე** -კომიტეტის წევრი;
- **ელგუჯა ბაგრატიონი** - კომიტეტის წევრი.

თემატურ მოკვლევაზე მუშაობდნენ:

- **ნაირა აბულაძე** – კომიტეტის აპარატის უფროსი;
- **ნატო აბუსელიძე** - კომიტეტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

- **ნონა ტაკიძე** – კომიტეტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- **ნინო ანთიძე** - კომიტეტის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2.4. თემატურ მოკვლევაში ჩართული სუბიექტები

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო,
- ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსები,
- ქალაქ ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების დირექტორები,
- ქალაქ ბათუმის 25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი,
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 36 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი,
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 35 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი,
- ქედის მუნიციპალიტეტის 29 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი,
- შუახევის მუნიციპალიტეტის 41 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი,
- ხულოს მუნიციპალიტეტის 38 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი.

2.5. მოკვლევის მეთოდოლოგია

2022 წლის 10 მაისის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა (შემდგომში, კომიტეტი, ან განათლების კომიტეტი) მიიღო გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყების შესახებ თემაზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა“. ამავე სხდომაზე კომიტეტმა დაამტკიცა მოკვლევის ჯგუფი.

მოკვლევის დაწყებამდე კომიტეტმა საკვლევი თემის ირგვლივ იმსჯელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ერთად. თავის მხრივ, მინისტრმაც დაადასტურა კვლევის საჭიროება. შესაბამისად, საკითხის სიღრმისეული შესწავლა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირების დაწყება კომიტეტმა მნიშვნელოვნად მიიჩნია.

მოკვლევისთვის საკვანძო შეკითხვების მიხედვით შედგა ტექნიკური დოკუმენტი კითხვარის სახით, რომელიც კომიტეტის მხრიდან სკოლებს გადაეგზავნათ; მითითებულ ვადაში სკოლებმა წერილობითი ფორმითვე წარმოადგინეს საკუთარი პასუხები და მოსაზრებები.

ინფორმაცია მოკვლევის მიმდინარეობის თაობაზე განთავსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

მოკვლევის ფორმატში, კომიტეტმა მოაწყო გასვლითი სხდომები ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, სადაც შეხვდა საჯარო სკოლების დირექტორებსა და ბიბლიოთეკარებს.

მოკვლევის პროცესშივე კომიტეტმა შეისწავლა და გააანალიზა მიღებული ინფორმაცია, რის შემდეგაც ჩატარდა ზეპირი მოსმენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მდე დაინტერესებულმა პირმა. მათ მიეცათ დისკუსიაში მონაწილეობის შესაძლებლობა, საბოლოოდ, გამოიკვეთა მიგნებები და ჩამოყალიბდა შესაბამისი რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევის პროცესში, კომიტეტმა სულ 204 სუბიექტისგან მიიღო წერილობითი ინფორმაცია.

2.6. განხორციელებული ღონისძიებები



მოკვლევის ფარგლებში კომიტეტს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, გარდა წერილობითი მიმართვებისა, მოკვლევაში ჩართულობის გასაზრდელად გაიმართა ორი გასვლითი სხდომა. 27 მაისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თხილნარის საჯარო სკოლაში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებსა და ბიბლიოთეკარებთან, 3 ივნისს კი ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქობულეთის საჯარო სკოლების დირექტორებსა და ბიბლიოთეკარებთან შეხვედრებზე, კომიტეტის წევრებმა ისაუბრეს თემატური მოკვლევის მიზანზე, იმსჯელეს საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებულ მდგომარეობაზე და მოისმინეს სფეროს წარმომადგენელთა მოსაზრებები.

27 ოქტომბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ზეპირი მოსმენა თემატური მოკვლევის თაობაზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტების საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსები, ბათუმის საჯარო სკოლების დირექტორები და ბიბლიოთეკარები.

2.7. მოკვლევის კითხვები

სფეროს შესწავლის მიზნით, თემატური მოკვლევის ჯგუფმა განსაზღვრა ის ძირითადი კითხვები, რომლებიც კვლევის ფოკუსში მოექცა, ხოლო ამ კითხვებზე მიღებულ ინფორმაციას დაეფუძნა მოკვლევის ანგარიში.

- როგორია სასკოლო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკმაყოფილებს თუ არა ის სწავლა-სწავლების პროცესისათვის აუცილებელ მოთხოვნებს?
- როგორია წიგნადი ფონდი, რამდენად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს?
- რამდენად არის ელექტრონულ წიგნებთან წვდომის შესაძლებლობა?
- როგორია დასაქმებული ბიბლიოთეკარების კვალიფიკაცია?
- როგორია ბოლო 3 წლის სტატისტიკა:

  ა) სასკოლო ბიბლიოთეკით მოსწავლეთა სარგებლობის თაობაზე;
  ბ)რომელი კლასების მოსწავლეები სარგებლობენ ძირითადად ბიბლიოთეკით?
  გ) მოთხოვნადია მხატვრული თუ თემატური ლიტერატურა?
  დ) ინფორმაცია წიგნადი ფონდის განახლება/შევსების თაობაზე;

- რა სახით მონაწილეობენ სასკოლო ბიბლიოთეკები სწავლა-სწავლების პროცესში?
- რა ტიპის მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო(ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლება) სასკოლო ბიბლიოთეკებს?
- რა ტიპის მხარდაჭერაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან სასკოლო ბიბლიოთეკებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად?
- რა სახის ახალი სტანდარტების დანერგვა მიიჩნევა საჭიროდ სასკოლო ბიბლიოთეკებთან მიმართებაში?
- როგორია სასკოლო ბიბლიოთეკების შემდგომი განვითარების პერსპექტივა?

3. არსებული მდგომარეობის ანალიზი - დასაბუთებული მოსაზრებების და მოსმენების მიმოხილვა

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.“

თემატური მოკვლევის პროცესში კომიტეტის მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტის (კითხვარის) შესაბამისად, შემოვიდა დასაბუთებული მოსაზრებები, ჩატარდა კომიტეტის გასვლითი სხდომები ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგაც გაიმართა ზეპირი მოსმენა საკითხით დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 40-მა პირმა.

მიღებული მოსაზრებები წარმოაჩენს ბიბლიოთეკებში არსებულ მდგომარეობას, მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს და მოსაზრების ავტორების ხედვებს შესაძლო განვითარების გზებზე. ქვემოთ მოცემულია ამ ინფორმაციის მიმოხილვა, რაც სამუშაო ჯგუფის მიგნებების საფუძველი და რეკომენდაციების წინაპირობაა.

1. სასკოლო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სკოლებისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სკოლების უმეტეს ნაწილში არ არის გამართული ინფრასტრუქტურა, სადაც შესაძლებელი იქნება ახალი ტექნოლოგიებით, კომფორტული, თანამედროვე სამკითხველო დარბაზითა და ინტერიერით აღჭურვილი ბიბლიოთეკის ფუნქციონირება.

წარმოდგენილი მოსაზრებებიდან ირკვევა, რომ არასრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამორიცხავს სწავლა-სწავლების პროცესში ბიბლიოთეკის აქტიურ ჩართულობას, ის არ იძლევა არათუ კლუბური, ან ჯგუფური მუშაობის, არამედ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ინდივიდუალურად დამუშავების შესაძლებლობასაც კი.

2. წიგნადი ფონდი და მისი შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებისადმი

გამოიკვეთა წიგნადი ფონდის სიმცირისა და ერთფეროვნების პრობლემა, რაც ხელს უშლის დაინტერესებული მოზარდის წიგნთან დაახლოების პროცესს და ზრდის მისი ინტერესების სხვა სფეროზე გადატანის, ან კლასგარეშე ლიტერატურასთან საბოლოოდ დაშორების საფრთხეს.

აჭარის მთავრობის 2007 წლის 06 თებერვლის №12 დადგენილებით განხორციელდა რაიონებში არსებული საბიბლიოთეკო ქსელების რეორგანიზაცია, რომლის შედეგად, სასოფლო ბიბლიოთეკებში დაცული წიგნადი ფონდი გადაეცა სოფლის სკოლებს და მოხდა მათი დასაწყობება, რამაც გამოიწვია ბიბლიოთეკების გადატვირთვა შინაარსობრივად და ფიზიკურად მოძველებული წიგნების, ზედმეტი და არაპროფილური გამოცემების, პოლიტიკურად აქტუალობა დაკარგული მასალებით. სკოლებისთვის პრობლემას წარმოადგენს მათი ჩამოწერისა და სკოლიდან გატანის საკითხი.

3. ელექტრონულ წიგნებთან წვდომის შესაძლებლობა

როგორც წარმოდგენილი მოსაზრებებიდან ირკვევა, ვერცერთი საჯარო სკოლა ვერ სთავაზობს მოსწავლეებს ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის სერვისს. ბიბლიოთეკებში არ არის ელექტრონული, ან აუდიო წიგნები. აღნიშნულ პრობლემას, მოკვლევის სუბიექტები, უმეტესწილად, ინტერნეტის დაბალი სიხშირით, ან ლოკაციის ადგილას ინტერნეტიზაციის საერთოდ არ არსებობით ხსნიან. ზეპირი მოსმენისას აღინიშნა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებობა შესაძლებელია ფაილების სახით, თუკი ამის ტექნიკური საშუალება არსებობს და ბიბლიოთეკარს ამ საშუალებების მოხმარების კვალიფიკაცია გააჩნია.

4. დასაქმებულ ბიბლიოთეკართა კვალიფიკაცია

დასაქმებულ ბიბლიოთეკართა ნაწილი არაკვალიფიციურია, გამოიკვეთა მათი გადამზადების აუცილებლობა.

ზოგიერთ მცირეკონტინგენტიან სკოლაში არ არის ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეული. ზოგ შემთხვევაში, საშტატო ერთეულის არარსებობის გამო, ბიბლიოთეკარის საქმიანობას ითავსებს სკოლის რომელიმე თანამშრომელი, რომლისთვისაც, ცხადია, მნიშვნელოვანი არ არის ამ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული კრეატიული მიდგომები. შესაბამისად, ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნთსაცავის ფორმით ფუნქციონირებს და ნაკლებად, ან საერთოდ არ არის ჩართული სწავლა-სწავლებისთვის აუცილებელ შემოქმედებით პროცესებში.

გამოიკვეთა ბიბლიოთეკართა ანაზღაურების პრობლემა, რომელიც მცირეკონტინგენტიან სკოლებში 200 ლარის ფარგლებშია, რაც სოციალურ მინიმუმსაც კი ვერ უტოლდება. მეტიც, ამგვარი სახელფასო პოლიტიკა პერსპექტივაში აუცილებლად გამოიწვევს კვალიფიციური ბიბლიოთეკარების რესურსის შემცირებას და საბოლოოდ მილევად რეჟიმში გადავა, რაც, ცხადია, მოზარდი თაობის წიგნიერების საწინააღმდეგოდ იმუშავებს.

5. *სასკოლო ბიბლიოთეკებით სარგებლობა და მათზე მოთხოვნა*

კითხვარის პასუხების მიხედვით, სასკოლო ბიბლიოთეკებით სარგებლობს მოსწავლეთა საშუალოდ - 40%. მეტად აქტიური მომხმარებლები, დაწყებითი და საბაზო განათლების საფეხურის მოსწავლეები არიან, უფრო ნაკლებად სარგებლობენ _ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები. გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკებში მეტად მოხმარებადი მხატვრული ლიტერატურაა.

მოსაზრებებში ასევე ჩანს საბიბლიოთეკო ფონდის ერთიანი ბაზების შექმნის საჭიროება სკოლებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაც კონკრეტული ლიტერატურით დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს ახლომახლო ლოკაციებში მოიძიოს სასურველი მასალა.

6. *ბიბლიოთეკების მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში*

წერილობითი და ზეპირად გამოთქმული ინფორმაციის თანახმად, სწავლა-სწავლების პროცესში, ბიბლიოთეკები მეტწილად სასკოლო სახელმძღვანელოების მიღება-განაწილების სახით მონაწილეობენ. მათ აქვთ საშუალება მიაწოდონ მოსწავლეებს მასწავლებლის მიერ მითითებული კლასგარეშე ლიტერატურა, შეუძლიათ უზრუნველყონ სასწავლო პროგრამასთან კავშირში არსებულ, თანამედროვე წიგნებთან წვდომა.

მოსაზრების ავტორები მიუთითებენ სწავლა-სწავლების პროცესისადმი კრეატიულ მიდგომაზე, კერძოდ - სასკოლო ბიბლიოთეკების სივრცეებში პრეზენტაციების და დისკუსიების მოწყობის შესაძლებლობის შექმნის საჭიროებაზე, რისთვისაც სივრცეები შესაბამისად უნდა დაიგეგმოს და გადაკეთდეს. ზეპირი მოსმენებისას გამოითქვა მოსაზრება წიგნის პოპულარიზაციის, მასთან მეტად დაახლოების მიზნით, ბიბლიოთეკებში ლიტერატურული კლუბების შექმნის შესახებ. კლუბების მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშებში და ამ თამაშებში გამარჯვებული მოსწავლეების წახალისება სწავლა-სწავლების პროცესს გაამრავალფეროვნებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა წიგნიერების ზრდას და გააქტიურებს ბიბლიოთეკით სარგებლობის საჭიროებას. მოსაზრების ავტორები აღნიშნავენ, რომ ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსების მოპოვების საშუალება, ბიბლიოთეკებს, მცირე საგრანტო პროგრამების საშუალებით შეიძლება მიეცეთ.

7. *ბიბლიოთეკების სახელმწიფო და მუნიციპალური მხარდაჭერა*

არსებული მდგომარეობის მიხედვით, ბიბლიოთეკებს აქვთ გარკვეული დახმარება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მხრიდან, ვინაიდან განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო ბიბლიოთეკების რემოდელირება და წიგნადი ფონდის განახლება, რაც, ბოლო წლებია, ეტაპობრივად მიმდინარეობს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან. მიმდინარე წელსაც, ქვეპროგრამის ფარგლებში, 10 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსება ქართული და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო,

საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათისა და სხვა სახის ლიტერატურით; მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შერჩეული წიგნებით. ასევე მიმდინარე წელს ორი ბიბლიოთეკა რემოდელირდება ინვენტარით და ტექნიკით.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკების მხარდაჭერა შესაძლებელია სხვა პროგრამების მეშვეობითაც, თუმცა ზეპირი განხილვისას გამოთქმული აზრის მიხედვით, საჭიროა, ამ კუთხით, ბიბლიოთეკართა მეტად ინფორმირება და, შესაძლოა, დახმარებაც კი - დაფინანსების მოსაპოვებელი პროექტების წერისკენ მიმართულების მიცემით. ცხადია, მწირი სახელფასო ანაზღაურება სასკოლო ბიბლიოთეკების თანამშრომლებს ვერ წაახალისებთ ინიციატივების შემუშავებისა და განხორციელებისკენ, ხოლო საგრანტო პროგრამების საშუალებით, მათ საკუთარი ანაზღაურების გაზრდის შესაძლებლობაც მიეცემათ.

ასევე გამოითქვა მოსაზრება ბიბლიოთეკარების სტატუსის შესახებ, რის უქონლობის შედეგადაც არ ხდება მათი რანგირება, რაც პერსპექტივაში - ანაზღაურებაზე აისახებოდა. ისინი ასევე ვერ სარგებლობენ მუნიციპალური ბენეფიტებით (მაგალითად, მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა).

8. ახალი სტანდარტების დანერგვა და განვითარების პერსპექტივები

თემატური მოკვლევის ფარგლებში მიღებული წერილობითი და ზეპირი მოსაზრებების განხილვისას სამუშაო ჯგუფმა მოისმინა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება სახელმწიფოს მხრიდან სასკოლო ბიბლიოთეკების მხარდაჭერის, მათი განვითარების, მოზარდზე მორგებული გარემოს შექმნისა და ახალი სტანდარტების დანერგვის საკითხების ირგვლივ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაგალითად, ერთ-ერთ ზეპირ მოსმენაზე გამოითქვა წინადადება, ბიბლიოთეკებისთვის სპეციალური გრანტების გაცემის შესახებ, ასევე ბიბლიოთეკებისთვის ელექტრონული პლატფორმის შემუშავების შესახებ, საჭირო ლიტერატურაზე წვდომის გასაუმჯობესებლად - წიგნადი ფონდის გაციფრულების თაობაზე. გამოიკვეთა საბიბლიოთეკო ფონდის ერთიანი ბაზების შექმნის იდეა სკოლებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაც კონკრეტული ლიტერატურით დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს ახლომახლო ლოკაციებში მოიძიოს სასურველი მასალა. განვითარების პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანი იქნება ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა და მისი პერიოდული შევსება ახალი მასალით; მნიშვნელოვნად მიიჩნევა საბიბლიოთეკო სივრცეების კეთილმოწყობა, მათი აღჭურვა ციფრული ტექნოლოგიით, ბიბლიოთეკების გადაქცევა ერთგვარ „კულტურის ცენტრებად“, სადაც დაიგეგმება და განხორციელდება განათლების გაფართოებისკენ მიმართული სხვადასხვა ღონისძიება; ხოლო ახალი სტანდარტების სწრაფად დანერგვისა და განვითარებისთვის აუცილებელია ონლაინ ტრენინგ-კურსების შემუშავება ზემო აჭარის სკოლების ბიბლიოთეკარებისთვის.

ცხრილი 1. სასკოლო ბიბლიოთეკების ბაზის, წიგნადი ფონდის და ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის საერთო მდგომარეობის მაჩვენებელი

მუნიციპალიტეტის დასახელება	სკოლების რაოდენობა	მონაცემები წარმოადგინა	არსებული მდგომარეობის მაჩვენებელი								
			მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა			წიგნადი ფონდის შეფასება			ბიბლიოთეკარის კვალიფიკაცია		
			კარგი	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი	განახლებული	ნაწილობრივ განახლებული	ძველი	აქვს	არ აქვს	არ აქვს მტკიცი
ბათუმი	27	25	9	11	5	10	15		22	2	1
ქობულეთი	46	36		32	4	2	20	13	20	13	3
ხელვაჩაური	35	35	5	25	5	4	24	7	16	12	7
ქედა	29	29	5	17	7	8	13	8	13	11	5
შუახევი	43	41	2	37	2	16	20	5	10	24	7
ხულო	49	38	8	12	18	5	27	6	15	14	9
ჯამი	**229**	**204**	**29**	**135**	**41**	**47**	**119**	**39**	**96**	**76**	**32**

4. მოკვლევის პროცესში გამოვლენილი მიგნებები

გამოიკვეთა მიგნებები, რომელზე მუშაობაც, სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად და შესაბამისად - სფეროს გაჯანსაღებისთვის, მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ.

მიგნება N 1	• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა
მიგნება N 2	• თანამედროვე წიგნადი ფონდის სიმცირე
მიგნება N 3	• მოძველებული წიგნადი ფონდის ჩამოწერის აუცილებლობა
მიგნება N 4	• კვალიფიციური ბიბლიოთეკარების სიმცირე
მიგნება N 5	• თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მომხმარებელთა მაღალკულტურული მომსახურება
მიგნება N 6	• წიგნადი ფონდის ერთიანი ბაზის შექმნა მუნიციპალიტეტების მიხედვით
მიგნება N 7	• ბიბლიოთეკართა ანაზღაურების საკითხი
მიგნება N 8	• ბიბლიოთეკარების შტატის არარსებობა მცირეკონტინგენტიან სკოლებში

მოკვლევის შედეგად გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები იმ უწყებებისთვის, რომლებსაც თავისი კომპეტენციისა და სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში შეუძლიათ აღნიშნული პრობლემების სრულად, ან ნაწილობრივ მოგვარება.

ნიშანდობლივია, რომ კვლევის პროცესში არ გამოკვეთილა იმგვარი საკითხი, რომელიც თავისი არსით სახელმწიფო პოლიტიკის საწინააღმდეგოა.

5. რეკომენდაციები

რეკომენდაცია	ადრესატი
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
წიგნადი ფონდის განახლება სწავლა-სწავლების პროცესის შესაბამისი თემატური, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
აუდიო და ელექტრონულ წიგნებზე წვდომის ეტაპობრივი დანერგვა (მათ შორის - სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის)	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ბიბლიოთეკების გათავისუფლება შინაარსობრივად და ფიზიკურად მოძველებული წიგნების, ზედმეტი და არაპროფილური გამოცემების, პოლიტიკურად აქტუალობადაკარგული მასალებისაგან	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება მკითხველთა კლუბების შექმნისა და ამოქმედებისთვის, ასევე ბიბლიოთეკართა შრომის წახალისებისთვის	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ბიბლიოთეკართა გადამზადების კურსის დაგეგმვა და განხორციელება	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ბიბლიოთეკარის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება	მიეცეს რეკომენდაცია აჭარის არ განათლების სამინისტროს, საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს მუშაობა საქართველოს განათლების სამინისტროსთან
ბიბლიოთეკართა სახელფასო ანაზღაურების ზრდის საკითხის აქტუალიზაცია	მიეცეს რეკომენდაცია აჭარის არ განათლების სამინისტროს, საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს მუშაობა საქართველოს განათლების სამინისტროსთან
მკითხველთა კლუბების შექმნა წიგნის პოპულარიზაციის, ლიტერატურული შეხვედრების, წაკითხული წიგნების განხილვის, მსჯელობის, აზრთა გაზიარებისა და ინტელექტუალური თამაშების ჩატარების მიზნით	საჯარო სკოლები
საბიბლიოთეკო ფონდის ერთიანი ბაზების შექმნა სკოლებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	საგანმანათლებლო რესურსცენტრები - სკოლები

შეჯამება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 10 მაისის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის დაწყების შესახებ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა. კომიტეტმა ინფორმაცია გამოითხოვა 6 მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისაგან. მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტში შემოვიდა 204 წერილობითი მოსაზრება. ჩატარდა ერთი ზეპირი მოსმენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მდე დაინტერესებულმა პირმა. აღნიშნულის საფუძველზე, მოკვლევის ჯგუფმა გააანალიზა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობა, იქ არსებული პრობლემები, შესაბამისად, წარმოადგინა მოკვლევის 8 მიგნება და შესაბამისი უწყებებისთვის წარსადგენად შეიმუშავა 11 რეკომენდაცია.

დანართი 1 – თემატური მოკვლევის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თემატური მოკვლევის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა

მთავარი მომხსენებელი - დავით ბაციკაძე
ჯგუფის წევრი - ირაკლი ჩავლეიშვილი
ჯგუფის წევრი -დავით თედორაძე
ჯგუფის წევრი - ნადიმ ვარშანიძე
ჯგუფის წევრი - ელგუჯა ბაგრატიონი

თემატური მოკვლევის მიზანია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება, ასევე პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა;
- მოკვლევის პერიოდში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება;
- არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების გაცემა;

დანართი 2 - თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თემატური მოკვლევა	
ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა	
ტექნიკური მოთხოვნები	
საკითხის შესახებ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 10 მაისის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის დაწყების შესახებ. მოკვლევის თემაა: • აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა; • ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება, ასევე პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა; • მოკვლევის პერიოდში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება; • არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების გაცემა; • დაინტერესებულ მოზარდებზე მორგებული, გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივით, კონკრეტული ქმედითი და არსებითი პოლიტიკის შემუშავება.
თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები	1. დავით ბაციკაძე - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; 2. ირაკლი ჩავლეიშვილი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 3. ვლადიმერ მგალობლიშვილი - კომიტეტის წევრი; 4. დავით თედორაძე - კომიტეტის წევრი; 5. ნადიმ ვარშანიძე - კომიტეტის წევრი; 6. ელგუჯა ბაგრატიონი - კომიტეტის წევრი.
კითხვარი	❖ კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (იურიდიული ან/და ფიზიკური პირი) წერილობითი ფორმით დასაბუთებული მოსაზრებების წარმოსადგენად. ❖ დოკუმენტურად დასაბუთებული მოსაზრებები უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს (არ არის აუცილებელი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.

	შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება): 1. როგორია სასკოლო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკმაყოფილებს თუ არა ის სწავლა-სწავლების პროცესისათვის აუცილებელ მოთხოვნებს? 2. როგორია წიგნადი ფონდი, რამდენად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს? 3. რამდენად არის ელექტრონულ წიგნებთან წვდომის შესაძლებლობა? 4. როგორია დასაქმებული ბიბლიოთეკარების კვალიფიკაცია? 5. როგორია ბოლო 3 წლის სტატისტიკა: ა) სასკოლო ბიბლიოთეკით მოსწავლეთა სარგებლობის თაობაზე; ბ)რომელი კლასების მოსწავლეები სარგებლობენ ძირითადად ბიბლიოთეკით? გ) მოთხოვნადია მხატვრული თუ თემატური ლიტერატურა? დ) ინფორმაცია წიგნადი ფონდის განახლება/შევსების თაობაზე; 6. რა სახით მონაწილეობენ სასკოლო ბიბლიოთეკები სწავლა-სწავლების პროცესში? 7. რა ტიპის მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო(ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლება) სასკოლო ბიბლიოთეკებს? 8. თქვენი აზრით, რა ტიპის მხარდაჭერაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან სასკოლო ბიბლიოთეკებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად? 9. რა სახის ახალი სტანდარტების დანერგვას მიიჩნევთ საჭიროდ სასკოლო ბიბლიოთეკებთან მიმართებაში? 10. როგორ გესახებათ სასკოლო ბიბლიოთეკების შემდგომი განვითარების პერსპექტივა?
დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის ვადები	ინფორმაციის გამოგზავნის ბოლო ვადაა 30 ივნისი.

დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის პირობები	▪ ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს; ▪ ფაილი უნდა იყოს მხოლოდ WORD-ის ფორმატში; ▪ ტექსტის სიდიდე უნდა შეადგენდეს 3500 სიტყვას და არ აღემატებოდეს 4 გვერდს (A4 ფორმატი); ▪ ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში, მ.შ. დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ. ▪ წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში კარგად უნდა ირკვეოდეს ავტორის/მომხსენებლის ვინაობა: (მოსაზრების შედგენის თარიღი, ავტორის/მომხსენებლის საკონტაქტო ინფორმაცია - ელ-ფოსტა, ტელ. ნომერი); ▪ დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში საჭიროა მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ. ▪ აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ: ○ იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო. ○ ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო. ▪ არ არის აუცილებელი კომიტეტის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება. ▪ აბზაცი დანომრილი უნდა იყოს პარაგრაფებად. ▪ ტექსტში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი/დასკვნა. ▪ ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები. დასაბუთებული მოსაზრება უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **abuladzenaira15@gmail.com**
თემატური მოკვლევის პროცედურის შესახებ	**დასაბუთებული მოსაზრებების გასაჯაროება წერილობითი ფორმით** • დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებები საჯაროა და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ისინი განთავსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე; • ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება, გაეცნოს წარდგენილ მოსაზრებებს.

	დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებების მიღების შემდეგ, კომიტეტი: • შეისწავლის მიღებულ მოსაზრებებს; • გამოავლენს იმ პირებს, რომლებიც შემდგომში მოწვეული იქნებიან კომიტეტში, ზეპირი მოსმენის ეტაპზე, სადაც წარმოადგენენ დასაბუთებულ მოსაზრებებს მომხსენებლის სტატუსით. ზეპირი მოსმენა გაიმართება კითხვა-პასუხის რეჟიმში; • მოსაზრების ავტორებს შეუძლიათ, მიმართონ კომიტეტს დასაბუთებული მოსაზრების არგამოქვეყნების თხოვნით, რისი მიზეზიც მათ მოსაზრების წერილობით წარდგენის დროს უნდა დააფიქსირონ; • კომიტეტს არ გააჩნია ზეპირ მოსმენაზე ყველა დასაბუთებული წერილობითი მოსაზრების ავტორის მოსმენის ვალდებულება. **ანგარიშის მომზადება და წარდგენა** • კომიტეტი მოამზადებს შემაჯამებელ დასკვნას/ანგარიშს; • შემაჯამებელ ანგარიშში აისახება კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები. • კომიტეტის რეკომენდაციები შესაძლებელია წარედგინოს უმაღლეს საბჭოს ან რეაგირებისათვის ქვემდებარეობით გადაიგზავნოს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თემატური მოკვლევა	
ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა	
ტექნიკური მოთხოვნები	
საკითხის შესახებ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა 2022 წლის 10 მაისის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის დაწყების შესახებ. მოკვლევის თემაა: • აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა; • ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება, ასევე პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა; • მოკვლევის პერიოდში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნის მომზადება; • არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების გაცემა; • დაინტერესებულ მოზარდებზე მორგებული, გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივით, კონკრეტული ქმედითი და არსებითი პოლიტიკის შემუშავება.
თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები	1. დავით ბაციკაძე - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; 2. ირაკლი ჩავლეიშვილი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 3. ვლადიმერ მგალობლიშვილი - კომიტეტის წევრი; 4. დავით თედორაძე - კომიტეტის წევრი; 5. ნადიმ ვარშანიძე - კომიტეტის წევრი; 6. ელგუჯა ბაგრატიონი - კომიტეტის წევრი.
კითხვარი	❖ კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (იურიდიული ან/და ფიზიკური პირი) წერილობითი ფორმით დასაბუთებული მოსაზრებების წარმოსადგენად. ❖ დოკუმენტურად დასაბუთებული მოსაზრებები უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს (არ არის აუცილებელი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ.

	დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება): 1. როგორია სასკოლო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკმაყოფილებს თუ არა ის სწავლა-სწავლების პროცესისათვის აუცილებელ მოთხოვნებს? 2. როგორია წიგნადი ფონდი, რამდენად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს? 3. რამდენად არის ელექტრონულ წიგნებთან წვდომის შესაძლებლობა? 4. როგორია დასაქმებული ბიბლიოთეკარების კვალიფიკაცია? 5. როგორია ბოლო 3 წლის სტატისტიკა: ა) სასკოლო ბიბლიოთეკით მოსწავლეთა სარგებლობის თაობაზე; ბ)რომელი კლასების მოსწავლეები სარგებლობენ ძირითადად ბიბლიოთეკით? გ) მოთხოვნადია მხატვრული თუ თემატური ლიტერატურა? დ) ინფორმაცია წიგნადი ფონდის განახლება/შევსების თაობაზე; 6. რა სახით მონაწილეობენ სასკოლო ბიბლიოთეკები სწავლა-სწავლების პროცესში? 7. რა ტიპის მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო(ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლება) სასკოლო ბიბლიოთეკებს? 8. თქვენი აზრით, რა ტიპის მხარდაჭერაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან სასკოლო ბიბლიოთეკებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად? 9. რა სახის ახალი სტანდარტების დანერგვას მიიჩნევთ საჭიროდ სასკოლო ბიბლიოთეკებთან მიმართებაში? 10. როგორ გესახებათ სასკოლო ბიბლიოთეკების შემდგომი განვითარების პერსპექტივა?
დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის ვადები	ინფორმაციის გამოგზავნის ბოლო ვადაა 30 ივნისი.

დასაბუთებული მოსაზრებების გამოგზავნის პირობები	▪ ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს; ▪ ფაილი უნდა იყოს მხოლოდ WORD-ის ფორმატში; ▪ ტექსტის სიდიდე უნდა შეადგენდეს 3500 სიტყვას და არ აღემატებოდეს 4 გვერდს (A4 ფორმატი); ▪ ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში, მ.შ. დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ. ▪ წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში კარგად უნდა ირკვეოდეს ავტორის/მომხსენებლის ვინაობა: (მოსაზრების შედგენის თარიღი, ავტორის/მომხსენებლის საკონტაქტო ინფორმაცია - ელ-ფოსტა, ტელ. ნომერი); ▪ დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში საჭიროა მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ. ▪ აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ: ○ იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო. ○ ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო. ▪ არ არის აუცილებელი კომიტეტის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება. ▪ აბზაცი დანომრილი უნდა იყოს პარაგრაფებად. ▪ ტექსტში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი/დასკვნა. ▪ ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები. დასაბუთებული მოსაზრება უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **abuladzenaira15@gmail.com**
თემატური მოკვლევის პროცედურის შესახებ	**დასაბუთებული მოსაზრებების გასაჯაროება წერილობითი ფორმით** • დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებები საჯაროა და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ისინი განთავსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე; • ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება, გაეცნოს წარდგენილ მოსაზრებებს.

	დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებების მიღების შემდეგ, კომიტეტი: • შეისწავლის მიღებულ მოსაზრებებს; • გამოავლენს იმ პირებს, რომლებიც შემდგომში მოწვეული იქნებიან კომიტეტში, ზეპირი მოსმენის ეტაპზე, სადაც წარმოადგენენ დასაბუთებულ მოსაზრებებს მომხსენებლის სტატუსით. ზეპირი მოსმენა გაიმართება კითხვა-პასუხის რეჟიმში; • მოსაზრების ავტორებს შეუძლიათ, მიმართონ კომიტეტს დასაბუთებული მოსაზრების არგამოქვეყნების თხოვნით, რისი მიზეზიც მათ მოსაზრების წერილობით წარდგენის დროს უნდა დააფიქსირონ; • კომიტეტს არ გააჩნია ზეპირ მოსმენაზე ყველა დასაბუთებული წერილობითი მოსაზრების ავტორის მოსმენის ვალდებულება. **ანგარიშის მომზადება და წარდგენა** • კომიტეტი მოამზადებს შემაჯამებელ დასკვნას/ანგარიშს; • შემაჯამებელ ანგარიშში აისახება კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები. • კომიტეტის რეკომენდაციები შესაძლებელია წარედგინოს უმაღლეს საბჭოს ან რეაგირებისათვის ქვემდებარეობით გადაიგზავნოს.